

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული
რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 15 ოქტომბრის N 935 ბრძანების შესაბამისად, ამავე წლის 19 და 20 ოქტომბერს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (შემდგომში: ბტუ) განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით გაზრდის ჭრილში (სულ 4 250 ადგილი), უსდ-ს მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა:

1. ირინე დარჩია (თავმჯდომარე) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. ეკატერინე აზარაშვილი (წევრი) - ბიზნესისა და მენეჯმენტის მაგისტრი;
3. ნინო ბერიშვილი (წევრი) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
4. ციცინო თურქაძე (წევრი) - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
5. თინათინ პავლიაშვილი (სტუდენტი წევრი) - კავკასიის უნივერსიტეტი.

უსდ-ს შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 7 ნოემბრის N 27 გადაწყვეტილებით, ბტუ-ს 2017 წელს 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2000-ით.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 16-17 იანვარს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის N 31 ბრძანების შესაბამისად, ბტუ-ში უკვე განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის მიზანიც გახლდათ უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ასევე 2 000-ით გაზრდის მიზნით (სულ 4 000 ადგილი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და ავტორიზაციის საბჭოზე ზეპირი მოსმენის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ბტუ-ს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 2 250-ით (2018 წლის 10 აპრილის სხდომის ოქმი N 04).

ვინაიდან ბტუ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2018 წელს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ორი ვიზიტი 9 თვის შუალედით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 15 ოქტომბრის N 935 ბრძანებით დამტკიცებულმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით დაწესებულებაში ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებები და ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2018 წლის დასაწყისში წარმოდგენილი დასკვნისა და მასში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხები (კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი 42 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა).

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა შეფასდა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2018 წლის იანვარში განხორციელებული ვიზიტის შედეგად წარმოადგინა რეკომენდაციები, როგორც ერთგვარი „გზამკვლევი“ (roadmap) დაწესებულების ინსტიტუციური განვითარებისთვის (სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდისთვის ინსტიტუციური მზაობის მისაღწევად); ბ) დაწესებულების ინსტიტუციური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია იხელმძღვანელოს „გზამკვლევით“ (roadmap), მით უმეტეს როცა ის შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას.

ბტუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის გამოყოფილი აქვს 3 116.9 კვ.მ. მოცულობის ფართი, ხოლო დამხმარე ფუნქცია ასრულებს 7 952.8 კვ. მ.

2018 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით, უნივერსიტეტში დასაქმებულია აკადემიური 111, 29 მოწვეული, 34 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (აკადემიურ პერსონალში 1 პროფესორია, 103 ასოცირებული და 7 ასისტენტ პროფესორი). სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს მონაცემებით, უნივერსიტეტში სწავლობს 1890 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, მათგან 1543 ბაკალავრიატის, 345 მაგისტრატურის და 2 დოქტორანტურის საფეხურზე.

ბტუ ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს:

ბაკალავრიატი: ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი; ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები; საინფორმაციო ტექნოლოგიები.

მაგისტრატურა: ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები.

დოქტორანტურა: ბიზნესის ადმინისტრირება.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 15 ოქტომბრის N 935 ბრძანების დამტკიცებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დასაბუთებას და თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის შვიდი სტანდარტის შესაბამისად (დოკუმენტების ნაწილზე ექსპერტებს წვდომა ჰქონდათ ავტორიზაციის ვიზიტამდე, ხოლო ნაწილი გამოთხოვილ იქნა ვიზიტის პროცესში).

საავტორიზაციო ვიზიტის დროს მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და ჩატარდა ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან, არსებითად, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად (იხ.: დანართი 1).

აღსანიშნავია, რომ ადგილზე, დაწესებულების სურვილის გათვალისწინებით, დღის წესრიგში შევიდა ორი ცვლილება: 1) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი პრეზენტაციის სახით გაეცნო რექტორის ხედვას უნივერსიტეტის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების შესახებ; 2) შეხვედრა-ინტერვიუს პოტენციურ დამსაქმებლებთან ესწრებოდა არა რვა, არამედ მეტი დამსაქმებელი. დღის წესრიგის აღნიშნულმა ცვლილებებმა საშუალება მისცა დაწესებულებას, რომ სრულყოფილად და მრავალმხრივ წარმოეჩინა თავისი შესაძლებლობები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ექსპერტებმა დასკვნა წარმოადგინეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია გადამოწმდა და დოკუმენტების იმპლემენტაციის მდგომარეობა შეფასდა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიუების პროცესში.

ზემოთ აღნიშნული აქტივობების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა შემაჯამებელი დასკვნა, რეკომენდაციები და რჩევები სამომავლო განვითარებისთვის.

რეკომენდაციები:

I. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში საჭიროა ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე, ადმინისტრაცია, მოწვეული და აფილირებული აკადემიური პერსონალი, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები და სტუდენტები.

2. დაზუსტდეს რომელი დოკუმენტი („განვითარების სტრატეგია“ თუ „განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები“) წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების ძირითად გეგმას და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რათა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან დაკავშირებით სრულად იქნას დაკმაყოფილებული;

3. უნივერსიტეტის სტრატეგიის დოკუმენტებში უზრუნველყოფილ იქნას სიცხადე და შესაბამისობა გამოკვეთილ სტრატეგიულ პრიორიტეტებს, მათგან გამომდინარე მიზნებსა და ამოცანებს შორის. სტრატეგიაში უნდა იკვეთებოდეს ძირითად მიმართულებებს შორის რომელია უფრო პრიორიტეტული.

4. გადაიხედოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები მათი ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით (რათა ექვსი წლის განმავლობაში განუხორციელებელი აქტივობების განხორციელება საჭირო არ გახდეს მეშვიდე წელს).

II. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

5. უნივერსიტეტმა მოახდინოს პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის ეფექტიანი იმპლემენტაცია;

III. საგანმანათლებლო პროგრამები

6. შემუშავდეს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და მდგრადობის (მათ შორის დამატებითი/ე.წ. minor პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის) კონკრეტული გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს უნივერსიტეტის მიდგომებს გაზრდილი კონტიგენტისათვის და ყველა ჩართულ მხარესთან ერთად შეაფასებს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარეებს, განხორციელების რისკებს და განვითარების შესაძლებლობებს ყველა საჭირო რესურსის გათვალისწინებით.

IV. ადამიანური რესურსი

7. გაუმჯობესდეს აფილირებული პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მოხდეს პერსონალის აფილირების უზრუნველყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსებით;

8. პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული) საჭირო რაოდენობების განსაზღვრა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების საპროგნოზო მაჩვენებლების კრილში;

V. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

9. მოხდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის საკონსულტაციო საათების გამოყოფა უფრო სისტემურად, მათი საქმიანობის გრაფიკის გათვალისწინებით;

10. სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედი სოციალური დახმარების გაწევის შესახებ.

VI. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

11. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროფესორთა აქტიური ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში, აფილირების შემთხვევაში განსაკუთრებით;

12. უნივერსიტეტმა მოახდინოს აკადემიური პერსონალის ეფექტიანი ინფორმირება სამეცნიერო კვლევების დაფინანსების არსებული მექანიზმების შესახებ.

VII. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

13. თუკი გამოცდა მოითხოვს კონკრეტული საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც ისწავლება საგანში, მაშინ სტუდენტებს ლექციაზე ჰქონდეთ საშუალება, იმუშაონ ამ საინფორმაციო ტექნოლოგიით;

14. დეტალურად გაითვალისწინეთ ძირითადი და დამატებითი/ე.წ. minor პროგრამებისთვის საჭირო კომპიუტერული კლასები, განსაკუთრებით სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის გათვალისწინებით;

15. მეტი დეტალიზაციით აღიწეროს უნივერსიტეტთან აფილირებული ყველა პროფესორის პროფილი ვებ-გვერდზე.

რჩევები შემდგომი განვითარებისთვის:

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სამომავლოდ მართებს თავისი აქტივობების კორელაცია სტრატეგიულ მიზნებთან, შესაბამის სამოქმედო გეგმასთან, არსებულ რესურსებთან და შესაძლებლობებთან.

2. მომავალში სასურველია შეფასდეს ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე გაზრდილი/შექმნილი კოლეგიალური ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა.

3. მომავალში სასურველია შეფასდეს ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე შექმნილი, სტუდენტების/პროფესორ-მასწავლებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუკავშირის მიღების მექანიზმის პირველადი შედეგები.

4. ბტუ-ს პროგრამების ხარისხის განსავითარებლად და რეალური კონკურენტუნარიანობის დემონსტრირებისთვის, სასურველია გადაიხედოს საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის წინაპირობა.

5. უნივერსიტეტმა უნდა მოახდინოს თავისი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების (მათ შორის აფილირების წესის) შესახებ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დროული და შედეგიანი ინფორმირება, უნდა მოხდეს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.

6. მოხდეს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობი მექანიზმის ეფექტიანი იმპლემენტაცია შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით;

7. მომავალში სასურველია დადგინდეს პერსონალის გამოკითხვის შედეგების გამოყენების ეფექტიანობა.

8. მომავალში სასურველია დადგინდეს სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების გამოყენების ეფექტიანობა.

9. ბიუჯეტის „კვლევის და პროგრამების ხარჯის“ მუხლში გაიწეროს ამ მიზნისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტებისათვის გასაწევი ხარჯები ცალ-ცალკე, რაც უზრუნველყოფს ბტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სამეცნიერო ნაშრომების და კვლევითი პროექტების დაფინანსების და კონკურსების ჩატარების წესის“, ჯეროვნად შესრულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ ბტუ-მ 2018 წლის 10 აპრილიდან (ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თარიღი) ამავე წლის 19-20 ოქტომბრამდე (ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის თარიღი) განახორციელა მთელი რიგი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები, განაახლა უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების საკმაოდ დიდი ნაწილი, აგრეთვე შეიმუშავა დამატებითი რეგულაციები. შესაბამისად, დაწესებულებამ 42 რეკომენდაციიდან სრულად გაითვალისწინა და შეასრულა 26 რეკომენდაცია, ნაწილობრივ - 10, ხოლო საერთოდ არ გაითვალისწინებია 6 რეკომენდაცია, რომლებიც, ძირითადად, კვლავ ძალაში რჩება, რადგან ისინი მნიშვნელოვანია ავტორიზაციის სტანდარტებთან სრულად შესაბამისობის თვალსაზრისით, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდილი რაოდენობის შესაბამისი, ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით დაწესებულებაში ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების შესწავლის და აგრეთვე რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შეფასების შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა 15 რეკომენდაცია და 9 რჩევა შემდგომი ინსტიტუციური განვითარებისთვის, რათა ბტუ-მ შეძლოს ავტორიზაციის სტანდარტების სრულად დაკმაყოფილება და მას ჰქონდეს მზაობა სტუდენტთა კონტიგენტის მოთხოვნილი რაოდენობით გასაზრდელად.

დასკვნა

ბტუ-ს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით განხორციელებული ინსტიტუციური შეფასების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი არ იძლევა რეკომენდაციას, რომ დაწესებულებას სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა გაეზარდოს მოთხოვნილი რაოდენობით (2 000 სტუდენტი).

ვიზიტმა ცხადყო, რომ ბტუ-ს აქვს განვითარების მზაობა და პოტენციალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს, რომ სრულად

გაითვალისწინოს წარმოდგენილი რეკომენდაციები, რაც შექმნის წინაპირობებს სტუდენტთა კონტიგენტის მისთვის სასურველი რაოდენობით გაზრდისთვის.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 ბტუ-ს მისია წარმოდგენილია ერთიანი განაცხადის სახით, რომელიც გამოკვეთილი პროფილით ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ამბიციურ ხედვას თავი დაიმკვიდროს ადგილობრივ და საერთაშორისო სივრცეში.

ბტუ-ს მისიაა:

„შევთავაზოთ საზოგადოებას უნიკალური გამოცდილება ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში მისი მოლოდინების შესატყვისი თანამედროვე უმაღლესი განათლება, განვავითაროთ პიროვნების ლიდერული და სამეწარმეო უნარ-ჩვევები, სამეწარმეო ეკოსისტემის შექმნისა და ბიზნესის მაღალ ტექნოლოგიებთან ინტეგრირების გზით მივცეთ არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მოტივაცია და შესაძლებლობა. სამეცნიერო კვლევების შედეგების, იდეებისა და ინოვაციების გაცვლით მოვახდინოთ ჩვენი პოტენციალის დემონსტრირება გლობალურ ბაზრებზე, ვიყოთ ორიენტირებულნი თანამედროვე ცოდნის შექმნაზე და გავრცელებაზე, საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებაზე და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე“.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა მცირედით შეცვალა მისი ფორმულირება და სტუდენტის ნაცვლად აქცენტები დასვა საზოგადოების ინტერესებზე: მისი წევრების ლიდერული და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

უნივერსიტეტის რექტორმა ვიზიტის ფარგლებში გამართული პრეზენტაციისა და ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მისი რეალიზების ძირითად რესურსს ადამიანური კაპიტალი და თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოადგენს.

მისია გაზიარებულია უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ, რაც ცხადყო ინტერვიუებმა აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან.

1.2 ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის შემდეგ, უნივერსიტეტმა განაახლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები. ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ განისაზღვრა სამეცნიერო კვლევის კომპონენტი და მისი დაკავშირება მოხდა აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან. დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტები, დამსაქმებლები, პერსონალი) ინტერვიუებმა ცხადად წარმოაჩინა, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები და სამომავლო აქტივობები პასუხობს საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესებსა და მოთხოვნებს (იმ მოლოდინებს, რაც არსებობს ბტუ-ს მიმართ), თუმცა ვერ დადგინდა მისი წარმომადგენლების უშუალო ჩართულობა სტრატეგიის შემუშავების პროცესში (მაგალითად, აკადემიური/აფილირებული პერსონალის,

აგრეთვე აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს მხოლოდ ცალკეული წარმომადგენლებს ჰქონდათ ზოგადი წარმოდგენა სტრატეგიული გეგმის შესახებ. ზოგიერთი მათგანის აზრით, უნივერსიტეტი მომავალში გეგმავს სამოქმედო გეგმის შემუშავებას და სხვ.). ავტორიზაციის ექსპერტები არ იზიარებენ კოლეგიური საბჭოების წევრთა განმარტებებს, რომ ისინი ახლად არჩეული არიან და, აქედან გამომდინარე, არ იცნობენ სტრატეგიულ დოკუმენტებს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ჯერ უნდა მომხდარიყო ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს წევრების არჩევა, ხოლო სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტები სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით უნდა შემუშავებულიყო.

სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი განსახორციელებელი აქტივობები წლების მიხედვით, შესრულებაში ჩართული პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიულ მიმართულებებზე ფინანსური რესურსების განაწილება გამოხატულია პროცენტული წილით წლიურ ბიუჯეტში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს განვითარების შვიდწლიანი სტრატეგია (2019-2025), რომელიც პრეამბულის მიხედვით უნივერსიტეტის ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტს წარმოადგენს.

76 გვერდიანი დოკუმენტი მოიცავს ბტუ-ს ისტორიას, ღირებულებებს, კორპორაციულ ხედვას, ინფორმაციას განხორციელებული პროექტების და მიღწევების შესახებ, სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიას, SWOT ანალიზს, განვითარების მოდელის შერჩევის პრინციპებს, ბიზნესუწყვეტობისა და ინსტიტუციური მდგრადობის ხედვას, განვითარების პრიორიტეტებს, სტრატეგიულ პრიორიტეტებს, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, ბტუ-ს მართვის სტრატეგიას, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიას, ბიბლიოთეკის და ასევე, ხარისხის მართვისა და განვითარების, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას. მიუხედავად შვიდწლიან პერსპექტივაში დანახული კომპლექსური ხედვისა, აღნიშნული დოკუმენტი არ იძლევა ნათელ სურათს რომელი ინსტიტუციური მიზანია უფრო პრიორიტეტული და კონკრეტულად რა შედეგები განსაზღვრავს მიზნების მიღწევას.

განვითარების სტრატეგიის რეალიზება ხდება „განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების“ მეშვეობით (რომელიც ერთი დოკუმენტის სახით არის წარმოდგენილი) და მოიცავს სამ ეტაპს: პირველი ორი ეტაპი რეალიზდება ექვს წელზე გაწერილი გეგმით (2019-2024 წწ.) და მოიცავს ორ სამწლიან პერიოდს, ხოლო მესამე ეტაპი (2025 წ.) გულისხმობს იმ აქტივობების დასრულებას, რომლებიც ობიექტური გარემოებების გამო ვერ დასრულდა ექვსწლიან პერიოდში.

ორივე დოკუმენტი - „განვითარების სტრატეგია“ და „განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები“ ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან.

განვითარების სტრატეგია და განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: ინსტიტუციური განვითარება და მდგრადობა; ხარისხის მართვა; საგანმანათლებლო საქმიანობა; კვლევა და განვითარება; პერსონალის მართვა, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები და ა.შ. მეტი სიზუსტისთვის საჭიროა აღინიშნოს, რომ მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტში და ექვსწლიან გეგმაში გაცხადებულ სტრატეგიულ მიმართულებებსა და შესაბამის მიზნებს შორის, გარკვეულ შემთხვევებში, არ არის სრული

თანხვედრა. პრიორიტეტებისა და მიზნების სხვადასხვაგვარი დაჯგუფება ორ სტრატეგიულ დოკუმენტში, მართალია შინაარსობრივად არ ცვლის საერთო სურათს, თუმცა მათი რეალიზების თვალსაზრისით, საჭიროა, არსებობდეს მკაფიო და ლოგიკური ვექტორები ამოცანებს, მიზნებსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს შორის (მაგალითად: განვითარების სტრატეგიაში სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკა ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს, ექვსწლიან გეგმაში ეს მიმართულება უწყვეტი განათლების შესაძლებლობის უზრუნველყოფასთან არის გაერთიანებული; სტრატეგიის ძირითად დოკუმენტში ჩამოთვლილია 7 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც ექვსწლიან გეგმაში 8 მიმართულების სახით არის წარმოდგენილი).

ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის კრილში, საჭიროა აღინიშნოს, რომ ექვსწლიან გეგმაში სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის სამიზნე ნიშნულები ითვალისწინებს 2019 წელს 40%-იან ზრდას, ხოლო შემდეგი 5 წლის განმავლობაში წლიურ 10%-იან ზრდას. გეგმაში ცალკეა გამოყოფილი უცხოელ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდა, სადაც ყოველ სამ წელიწადში დაგეგმილია 10%-იანი ზრდა (უცხოელი სტუდენტი უნივერსიტეტს ამ ეტაპზე არ ერიცხება).

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას. ღონისძიებების დაგეგმვის საფუძველი რიგ შემთხვევებში სტუდენტების მიერ დაფიქსირებული ინტერესია, ხოლო რიგ შემთხვევებში - პარტნიორი კომპანიების ინიციატივები. კურიკულუმის ფარგლებს გარეთ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ უკუკავშირს უნივერსიტეტი ძირითადად სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვის შედეგად იღებს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმი. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების კოორდინაციას და კონტროლს ახორციელებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია გეგმის ეტაპობრივ შესრულებაზე. გეგმის შესრულების შემოწმებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო დაგეგმილი შედეგების მიღწევაზე - რექტორი.

ვინაიდან სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება ჯერ არ არის დაწყებული, ამ ეტაპზე ვერ მოხდება მონიტორინგის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება, თუმცა ის ფაქტი, რომ მეშვიდე წლის გეგმა მოიცავს წინა ექვსი წლის განმავლობაში შეუსრულებელი აქტივობების დასრულებას, კითხვის ნიშნებს აჩენს ყოველწლიური მონიტორინგის ეფექტურობასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, უნივერსიტეტმა წარმოადგინა წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს ზოგადი სახის ინფორმაციას განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების შესახებ, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს ჯერ კიდევ მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასებას.

წინა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და დაზუსტებული რეკომენდაციები

ბტუ-ს მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან (უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება) დაკავშირებული შემდეგი რეკომენდაცია:

1. გადაიხედოს და განახლდეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების, უსდ-ს მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის (მათ შორის სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის გათვალისწინებით) და პრიორიტეტების შესაბამისად; სტრატეგიული განვითარების გეგმაში მკაფიოდ განისაზღვროს სამეცნიერო კვლევის კომპონენტი და მასში აფილირებულ პროფესორთა ჩართულობა; ჩამოყალიბდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს უნივერსიტეტის კვლევითი, სასწავლო, ინსტიტუციური მდგრადობისა და განვითარების კომპონენტების გაძლიერებას. სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში სასწავლო და კვლევითი პროცესების მდგრადობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

კვლავ ძალაში რჩება შემდეგი რეკომენდაცია:

2. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში საჭიროა ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე, ადმინისტრაცია, მოწვეული და აფილირებული აკადემიური პერსონალი, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები და სტუდენტები.

ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაციები:

3. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში დეტალურად გაიწეროს განსახორციელებელი აქტივობები ვადების, პასუხისმგებელი პირების/სამსახურების და შესრულების ინდიკატორების მითითებით;

4. შემუშავდეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ეფექტური მექანიზმები.

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებული ნაკლოვანი მხარეები დეტალურად არის მოცემული ზემოთ, აღწერილობით ნაწილში, ხოლო რეკომენდაციებს კი შემდეგი სახით წარმოვადგენთ:

დაზუსტდეს რომელი დოკუმენტი („განვითარების სტრატეგია“ თუ „განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები“) წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების ძირითად გეგმას და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რათა ავტორიზაციის სტანდარტის

მოთხოვნა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან დაკავშირებით სრულად იქნას დაკმაყოფილებული;

უნივერსიტეტის სტრატეგიის დოკუმენტებში უზრუნველყოფილ იქნას სიცხადე და შესაბამისობა გამოკვეთილ სტრატეგიულ პრიორიტეტებს, მათგან გამომდინარე მიზნებსა და ამოცანებს შორის. სტრატეგიაში უნდა იკვეთებოდეს ძირითად მიმართულებებს შორის რომელია უფრო პრიორიტეტული;

გადაიხედოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები მათი ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით (რათა ექვსი წლის განმავლობაში განუხორციელებელი აქტივობების განხორციელება საჭირო არ გახდეს მეშვიდე წელს).

დადასტურება/მტკიცებულება:

- უნივერსიტეტის მისია;
- განვითარების სტრატეგია 2019-2025;
- განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმი;
- უნივერსიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიში;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესაბამისად, უსდ-მ განახორციელა მთელი რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებები, რომელთაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

2.1. მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გაიზარდა აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და მასში შევიდნენ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი და დოქტორანტურის სტუდენტი. გარდა ამისა, შეიქმნა ფაკულტეტის საბჭო, რომელიც აერთიანებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს. 2018 წლის 19-20 ოქტომბერს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს აღნიშნული კოლეგიური ორგანოები ახლადშექმნილი იყო და ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ უნივერსიტეტში შეიქმნა მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში გადაწყვეტილებების კოლეგიურად მიღება.

მომავალში სასურველია შეფასდეს ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე გაზრდილი/შექმნილი კოლეგიალური ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების კვალობაზე, შეიცვალა უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და ერთმანეთისგან გაიმიჯნა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რომელთაც უკვე არა ერთი, არამედ სხვადასხვა ადამიანები ხელმძღვანელობენ.

ბტუ-ში შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემამ, რომელშიც აისახა უნივერსიტეტის სპეციფიკა. შეიქმნა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გაიწერა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის ძირითადი ასპექტები და ჩამოყალიბდა დაგეგმვის ორი, სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდი. განისაზღვრა ის რაოდენობრივი მაჩვენებლები (ინდიკატორები), რომლებიც მხედველობაში მიიღება სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის დროს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით (კერძოდ, პროგრამების მოთხოვნადობის, სტუდენტების ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება-შეწყვეტის დინამიკა, კურსდამთავრებულთა, დასაქმებულთა რაოდენობები და სხვ). ასევე ჩამოყალიბდა ფორმულა, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხულ, სხვადასხვა კურსზე მყოფი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების თანაფარდობებს სტუდენტთა კონტიგენტის პროგნოზირების მათემატიკური მოდელის ფარგლებში.

სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმაში, მართალია, აისახა ადმინისტრაციული სტრუქტურის მოსალოდნელი ცვლილებები, საჭიროებები, რისკები და მათი აცილების მექანიზმები სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნული საკითხი შემდგომ დეტალიზაციასა და უფრო სიღრმისეულ გააზრებას საჭიროებს, რაც აისახა სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებულ განახლებულ რეკომენდაციებში.

სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვასთან დაკავშირებული, ზემოთ აღნიშნული კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებისა და დამტკიცების მიუხედავად, ბტუ-ს ადმინისტრაციის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისა და მისი გაზრდის საკითხი ჯერ კიდევ არ მოიაზრება სტრატეგიული დაგეგმარების, შესაბამისი სამოქმედო გეგმისა და ინსტიტუციური განვითარების კონტექსტში, რაც წარმოჩნდა ადმინისტრაციული პერსონალის ცალკეულ წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შესაბამისი უფლებამოსილების ადმინისტრაციულ პერსონალს დაუსვეს კითხვა: „რატომ არ იქნა გათვალისწინებული სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა სტუდენტების მიღების პროცესში (ანუ რატომ იქნა ათვისებული სტუდენტთა სრული კონტიგენტი ერთ წელიწადში)“. აღნიშნული საკითხი ადმინისტრაციის ერთმა წარმომადგენელმა განმარტა როგორც უნივერსიტეტის პასუხი ბაზრის მოთხოვნაზე, ხოლო მეორე წარმომადგენლის მხრიდან მიღებულ იქნა განსხვავებული განმარტება: „რატომაც არა“. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სამომავლოდ მართებს თავისი აქტივობების კორელაცია სტრატეგიულ მიზნებთან, შესაბამისი სამოქმედო გეგმასთან, არსებულ რესურსებთან და შესაძლებლობებთან.

2.2. უნივერსიტეტში შეიქმნა სტუდენტების/პროფესორ-მასწავლებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუკავშირის მიღების მექანიზმი და დაიწყო მისი

იმპლემენტაცია, თუმცა რამდენად ეფექტური იქნება ის, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. აქედან გამომდინარე, მომავალში სასურველია შეფასდეს ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე შექმნილი ზემოთ აღნიშნული მექანიზმის პირველადი შედეგები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან ინტერვიუების პროცესში უკვე გამოვლინდა პოზიტიური ტენდენცია, რომ ადმინისტრაციამ 2018-2019 წლის დასაწყისში სასწავლო პროცესში შეიტანა გარკვეული ცვლილებები, 2017-2018 წელს სტუდენტების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტმა შექმნა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვას მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს სტუდენტების არსებულ რაოდენობას, სამომავლოდ დაგეგმილი სტუდენტების რაოდენობას, პროგრამების მიმართულებების და საფეხურების (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის) მიხედვით.

უნივერსიტეტის მიერ ბოლო თვეებში გაწეული საქმიანობიდან, ერთ-ერთი ყველაზე ცალსახა აქტივობა ხარისხის მართვის მექანიზმების შექმნაა (რაც გამოვლინდა არა მხოლოდ ბოლო პერიოდში შემუშავებული დოკუმენტების ანალიზით, არამედ ინტერვიუების პროცესში, განსაკუთრებით აკადემიურ პერსონალთან).

უნივერსიტეტმა განსაზღვრა საკონტაქტო პირები სხვადასხვა პრობლემის იდენტიფიკაციისთვის როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, თუმცა როგორც სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა გვიჩვენა, ძირითად საკონტაქტო პირებად კვლავ რჩებიან დეკანი და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი. დანერგილი პრაქტიკა უნივერსიტეტის განვითარების ამ ეტაპზე საკმარისად არის მიჩნეული შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ, მაგრამ სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ პრობლემური საკითხების მოგვარება ძალიან გართულდება და ამგვარი „ცენტრალიზებული“ მიდგომა ვერ უზრუნველყოფს სათანადო მომსახურების გაწევას, რაც შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ პერსონალს კარგად გააზრებული ჯერ კიდევ არ აქვს და რაც გამოვლინდა ინტერვიუების დროს.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დამტკიცებული აქვს პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, თუმცა შესაბამისი უფლებამოსილების ადმინისტრაციული პერსონალის ნაწილი არ იცნობს ამ დოკუმენტს და ჯერჯერობით არ ხდება მისი იმპლემენტაცია. მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითს. ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა დამხმარე პერსონალის რაოდენობების დაგეგმვას (ხომ არ იქნებოდა სასურველი დამხმარე პერსონალის რაოდენობის გაზრდა), შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირისგან მიღებულ იქნა პასუხი, რომ თანამედროვე ეპოქაში პერსონალის რაოდენობა არ არის განმსაზღვრელი, რომ, მაგალითად, MIT – Massachusetts Institute of Technology გეგმავს უნივერსიტეტის შექმნას, სადაც ადმინისტრაციას ხელოვნური ინტელექტი ჩაანაცვლებს. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს აღნიშნულ მიდგომას როგორც ზოგადად საქართველოს, ისე ბტუ-ს რესურსების გათვალისწინებით, ასევე ევროპისა და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკიდან

გამომდინარე (იგულისხმება სხვადასხვა უნივერსიტეტში თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასა და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალს შორის). დამხმარე პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა გამოვლინდა აგრეთვე დაწესებულების ფინანსური რესურსების შეფასების პროცესში (შესაბამისი კომენტარისთვის იხ. წარმოდგენილი დასკვნის 7.4. პუნქტი).

2.3. ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ბტუ-ს სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ინფორმირებული იყო აკადემიური პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების, პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში უნივერსიტეტმა თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო განავითარა. კერძოდ, შეძენილ იქნა და უკვე დაიწყო პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის იმპლემენტაცია, რაც მისი საქმიანობის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

წინა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და დაზუსტებული რეკომენდაციები

ბტუ-ს მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან (უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება) დაკავშირებული შემდეგი შვიდი რეკომენდაცია:

1. უზრუნველყოფილ იქნას მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობა მაგ. გაიზარდოს აკადემიური საბჭოს შემადგენლობა. შეიქმნას საბჭო, რომელთა წევრები იქნებიან პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სხვ.;
2. მკაფიოდ გაიმიჯნოს თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რისთვისაც აუცილებელია, რომ რამდენიმე ერთეულს არ ხელმძღვანელობდეს ერთი ადამიანი;
3. შიდა ხარისხის სისტემის სახელმძღვანელო, საჭიროა ეყრდნობოდეს საუნივერსიტეტო სპეციფიკას. გასაწერია კავშირი და ურთიერთმიმართება პროგრამებს, სტუდენტების რაოდენობას, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს შორის;
4. უნივერსიტეტმა უნდა შექმნას სტუდენტების/პროფესორ-მასწავლებლების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუკავშირის მიღების ეფექტური მექანიზმი და უზრუნველყოს მიღებული შედეგების გათვალისწინება საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
5. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას სტუდენტების არსებული რაოდენობა, გამოცხადებული მისაღები რაოდენობა და სამომავლოდ დაგეგმილი სტუდენტების რაოდენობა, პროგრამების მიმართულებების და საფეხურების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მიხედვით;

6. გაძლიერდეს უსდ-ს ხარისხის მართვის მექანიზმები: საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს საკონტაქტო პირები ყოველი პრობლემის იდენტიფიცირებისთვის ანმოსაზრებების გასაჟღერებლად, როგორც სტუდენტებისათვის ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის;

7. განისაზღვროს პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმები, რომელიც ცალსახად იქნება აღქმული ყველა მონაწილე მხარისათვის;

8. განისაზღვროს ადმინისტრაციული სტრუქტურის მოსალოდნელი ცვლილებები, საჭიროებები, რისკები და რისკების აცილების მექანიზმები სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით.

დაზუსტებული რეკომენდაცია

უნივერსიტეტმა მოახდინოს პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის ეფექტიანი იმპლემენტაცია;

რჩევები შემდგომი განვითარებისთვის:

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სამომავლოდ მართებს თავისი აქტივობების კორელაცია სტრატეგიულ მიზნებთან, შესაბამის სამოქმედო გეგმასთან, არსებულ რესურსებთან და შესაძლებლობებთან;

მომავალში სასურველია შეფასდეს ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე გაზრდილი/შექმნილი კოლეგიალური ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა;

ასევე სასურველია შეფასდეს ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე შექმნილი, სტუდენტების/პროფესორ-მასწავლებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუკავშირის მიღების მექანიზმის პირველადი შედეგები.

დადასტურება/მტკიცებულება:

- უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- ინტერვიუების შედეგები.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1. ბტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების (ოქმი #19, 28.08.2018) შესაბამისად, 2018 წლის 17 სექტემბრიდან უნივერსიტეტში ამოქმედდა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დებულებები. ისინი განსაზღვრავს შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესებს. ბტუ-ს შიდა რეგულაციების თანახმად, პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება ხდება ურთიერთთანამშრომლობით, სხვადასხვა მმართველობითი და სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით: აკადემიური საბჭო, ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის საბჭო. ამასთან, პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების პროცესში განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფისა და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა.

აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი იცნობენ მოქმედ პროგრამებს და გარკვეულწილად მონაწილეობაც აქვთ მიღებული მათი სწავლის შედეგების ფორმირებაში.

საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით, ბტუ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს და პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს.

2018 წლის იანვრის თვეში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით ბტუ-ში მივლინებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ „საუნივერსიტეტო მიღების წინაპირობის მიხედვით, პროგრამებზე ჩარიცხვა მათემატიკის გარდა, სხვა საგნების (მაგ. ისტორია, გეოგრაფია და სხვა) ჩაბარებითაცაა შესაძლებელი, რაც პროგრამის დაძლევისას გარკვეულ სირთულეებს ქმნის (წყარო: ინტერვიუები ლექტორებთან, სტუდენტებთან). უნივერსიტეტში არსებული პროგრამები (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბიზნესის ადმინისტრირება) მოითხოვენ საბაზისო მათემატიკური აპარატის ცოდნას“.

მიმდინარე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზით და მათემატიკის სწავლების საკითხით. აღმოჩნდა, რომ პირველ სასწავლო წელს (იგულისხმება: 2017-2018), სტუდენტებს შეექმნათ გარკვეული პრობლემები მათემატიკის სწავლის პროცესში, რაც დადგინდა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზით და სტუდენტთა გამოკითხვებით.

ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სასწავლო პროცესის მართვის, სტუდენტებისა და განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ შექმნილი პრობლემის გადასაჭრელად უნივერსიტეტმა გაატარა შემდეგი ღონისძიებები: დაინიშნა და ჩატარდა დამატებითი ლექციები და კონსულტაციები (ძირითადად, შაბათ-კვირას), გამოყენებულ იქნა ე.წ. სტუდენტი-მენტორის ინსტიტუტი (თანამშრომლობითი სწავლება), გარკვეულწილად განახლდა მათემატიკის სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი. მიმდინარე სემესტრში მათემატიკაში

სტუდენტების მოსწრების ანალიზი, ისევე როგორც სტუდენტთა გამოკითხვა გვიჩვენებს უნივერსიტეტის მიერ გატარებული ზომების ეფექტიანობას, თუმცა თავისთავად უკვე მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციამ მოახდინა სწრაფი რეაგირება იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

3.2. უნივერსიტეტში მოქმედებს ხუთი აკრედიტებული პროგრამა: სამი საბაკალავრო, ერთი სამაგისტრო და ერთი სადოქტორო.

1. საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (გადაწყვეტილება #03, 05.01.2017);
2. საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (გადაწყვეტილება #04, 05.01.2017);
3. საბაკალავრო პროგრამა: საინფორმაციო ტექნოლოგიები (გადაწყვეტილება #06, 05.01.2017);
4. სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები (გადაწყვეტილება #09, 14.02.2017);
5. სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (გადაწყვეტილება #05, 05.01.2017).

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, გადაიხედა და დაუუსტდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ბტუ-ს საერთაშორისო პროგრამების შესახებ.

შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული სილაბუსების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა - სურვილის შემთხვევაში - 60 ECTS კრედიტის ფარგლებში დაეუფლოს დამატებით, მეორად/ე.წ. minor სპეციალობას მენეჯმენტის ან საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც ზრდის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს და სტუდენტების კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული ნორმის გაანგარიშების დოკუმენტის თანახმად, ბტუ გეგმავს გაზარდოს ყოველწლიური მიღება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების საბაკალავრო პროგრამებზე. 2019-2020 წლისათვის - 657 სტუდენტი, 2020-2021 წლისათვის - 900 სტუდენტი.

შესაბამისად, 240 კრედიტის ასათვისებლად ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ორი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ შეიძლება აირჩიოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დამატებითი/ე.წ. minor პროგრამა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტი/კომპიუტერის თანაფარდობაა - 5:1, შესაბამისად, დაწესებულებას ყოველწლიურად საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის 350 სტუდენტზე გათვლილი აქვს 70 კომპიუტერი.

სტუდენტების კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში (4250 სტუდენტი), საინფორმაციო ტექნოლოგიების დამატებით/minor პროგრამაზე მოსალოდნელია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტების შემდეგი რაოდენობა:

2018-2019 სასწავლო წლისათვის - 470,

2019-2020 სასწავლო წლისათვის - 523,

2020-2021 სასწავლო წლისათვის - 657,

2021-2022 სასწავლო წლისათვის - 900.

როგორც სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზმა, ისე ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ბტუ-ს ზემოთ აღწერილი შემთხვევისთვის (ანუ არა მხოლოდ ძირითად, არამედ დამატებით პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში) არ აქვს წინასწარ გათვლილი საკუთარი შესაძლებლობები, საჭირო კომპიუტერების, კომპიუტერული კლასების, განმახორციელებელი პერსონალის საკმარისი რაოდენობა და სხვ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტისთვის უნივერსიტეტს არ აქვს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მდგრადობის (მათ შორის დამატებითი/minor პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის) მკაფიო ხედვა და კონკრეტული გეგმა, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით შეაფასებდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შესაძლებლობებს საჭირო რესურსების გათვალისწინებით. ეს საკითხი რეკომენდაციის სახით წარმოდგენილი იყო ექსპერტთა ჯგუფის წინა დასკვნაშიც.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის კვალობაზე, დაწესებულებამ დაიწყო კურიკულუმის გარეთ აქტივობების წახალისება, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და აქტიურად ვრცელდება სოციალური ქსელების საშუალებითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინება მოხდა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, აკადემიური საბჭოს დადგენილების მიხედვით, 2018 წლის 17 სექტემბრიდან ძალაშია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების დებულება“, რომელიც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი დაიგეგმოს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით (რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათემატიკის სწავლების პროცესში წამოჭრილი პრობლემების აღმოსაფხვრელად).

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა წინა დასკვნაში შემოთავაზებული ალტერნატიული რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი (ანუ დაარეგულირა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის საკითხი), კვლავ გამოწვევად რჩება საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის წინაპირობის საკითხი. დღეისათვის საქართველოს განათლების ბაზარზე მოქმედი, წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ერთ-ერთი წინაპირობა არის მათემატიკის ჩაბარება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი დარგობრივი ცოდნისა და პრაქტიკური უნარების მქონე აბიტურიენტების მიღებას. ვინაიდან სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათემატიკის

დაძლევა ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტებს უჭირთ, სასურველია გადაიხედოს საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის წინაპირობა, რაც იმავდროულად ხელს შეუწყობს ბტუ-ს პროგრამების ხარისხის განვითარებას.

3.3. უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის მოქნილი სისტემა BTU Classroom, რომელიც განკუთვნილია სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის. BTU Classroom-ის მომხმარებლებთან ინტერვიუმ და თავად ამ ელექტრონული სისტემის ტესტირებამ დაადასტურა მისი მრავალფუნქციურობა, მოქნილობა და ეფექტიანობა.

დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დებულებაში გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არის კანონმდებლობის შესაბამისი და გამჭვირვალე. სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული შეფასები სფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადიან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებით დადგენილ (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ) მოთხოვნებთან.

წინა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და დაზუსტებული რეკომენდაციები

ბტუ-ს მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული ავტორიზაციის მესამე სტანდარტთან (უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები) დაკავშირებული შემდეგი ექვსი რეკომენდაცია:

1. გაიწეროს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველსაყოფად მოხდეს გამოკვეთილი პრობლემების გათვალისწინება;
3. გადაიხედოს მიღების წინაპირობები ან/და მოხდეს შესაძლებლობის შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა (რომელსაც არ ექნება ნებაყოფლობითი ხასიათი);
4. გადაიხედოს კურიკულუმს გარეთ აქტივობების დაგეგმვის საკითხი, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ, როგორც პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში, ასევე კურიკულუმს გარეთ დაგეგმილ აქტივობებში სრულფასოვნად მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა;

5. გადაიხედოს და დაზუსტდეს საერთაშორისო პროგრამების შესახებ ინფორმაცია (<http://naec.ge/uploads/postData/EEG-2017/cnobar-2018-web.pdf> და ვებ-გვერდის screenshot), რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისა და საზოგადოებისთვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდება;

6. პროგრამის სტრუქტურა და სილაბუსები უნდა შემუშავდეს თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით (რაც ნაწილობრივ ხდება კიდეც), თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ პროგრამის სილაბუსები და კურიკულუმი მთლიანად აგებული იყოს პარტნიორი ორგანიზაციის შემოთავაზებებსა და სურვილებზე.

ბტუ-ს მიერ მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული შემდეგი ორი რეკომენდაცია:

1. სხვა ჩართულ მხარეებთან ერთად და არა ვიწრო წრეში (პროგრამის ხელმძღვანელები და რამოდენიმე ლექტორი) გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და მდგრადობის კონკრეტული გეგმა;

2. პროგრამების ხარისხიანად განსახორციელებლად უნდა მოხდეს არსებული რესურსების შეფასება (რამდენად საკმარისია აკადემიური პერსონალი, როგორია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა, საბიბლიოთეკო რესურსი, სხვა პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო მატერიალური რესურსი), და აღნიშნული რესურსების შესაბამისობაში მოყვანა არსებულ და დაგეგმილ სტუდენტების რაოდენობასთან;

დაზუსტებული რეკომენდაცია:

შემუშავდეს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და მდგრადობის (მათ შორის დამატებითი/ე.წ. minor პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის) კონკრეტული გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს უნივერსიტეტის მიდგომებს გაზრდილი კონტიგენტისათვის და ყველა ჩართულ მხარესთან ერთად შეაფასებს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარეებს, განხორციელების რისკებს და განვითარების შესაძლებლობებს ყველა საჭირო რესურსის გათვალისწინებით.

რჩევა შემდგომი განვითარებისთვის:

ბტუ-ს პროგრამების ხარისხის განსავითარებლად და რეალური კონკურეტუნარიანობის დემონსტრირებისთვის, სასურველია გადაიხედოს საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის წინაპირობა.

დადასტურება/მტკიცებულება

- ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დებულებები;
- შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვებ-გვერდი;
- ინტერვიუების შედეგები;

4. უსდ-ს პერსონალი

4.1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა ვიზიტის შემდეგ, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების და ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბტუ-მ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები ადამიანური რესურსების მართვის სფეროში.

დღეისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის სტრატეგია, რომელიც უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს. ბტუ-ს საკადრო პოლიტიკა, ზოგადი პრინციპების სახით, მოიცავს კვალიფიციური კადრების მოზიდვის, პერსონალის განვითარების, ახალი კადრის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის, წახალისების მექანიზმებისა და შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფის საკითხებს. ბტუ-ს ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის წესი, აკადემიური კონკურსის დებულება, აკადემიური საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი, ატესტაციის ჩატარების წესი და პერსონალთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. როგორც უკვე აღინიშნა, ჩამოთვლილი დოკუმენტების უმეტესი ნაწილი ბტუ-მ შეიმუშავა და დახვეწა ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის შემდგომ პერიოდში და ამ მიმართულებით სახეზეა მნიშვნელოვანი პროგრესი.

ცალკე უნდა გამოიყოს აკადემიური პერსონალის აფილირებისა და დატვირთვის დებულება და აფილირების შეთანხმების ფორმა, რომელიც 4 თვის წინ დაამტკიცა უნივერსიტეტმა. დებულების მიხედვით - „ბტუ მიიჩნევს, რომ აფილირება წარმოადგენს მისი საკადრო პოლიტიკის კომპონენტს, რომელმაც უნდა შექმნას შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული გარემო“. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, შედის თუ არა ბტუ-ს გეგმებში გარე კადრების მოზიდვა თუ მხოლოდ შიდა კადრებიდან იგეგმება აფილირებული პერსონალის ხვედრითი წილის ზრდა პროგრამის განმახორციელებელთა შორის. მიღებული ინფორმაციის მიხედვით, უნივერსიტეტი, აფილირების მიზნით, მომავალში ასევე გეგმავს გარე კადრების მოზიდვას, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების ფარგლებში, თუმცა კონკრეტული სტრატეგია ამ მიმართულებით ბტუ-ს მხრიდან არ ყოფილა გაზიარებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, აფილირებული პერსონალის რაოდენობა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობაში 2021 წელს 50%-ს უნდა შეადგენდეს, ხოლო 2024 წელს - 70%-ს.

აფილირების დებულების მიხედვით, აფილირების ფარგლებში ბტუ-მ შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსოს სამეცნიერო სტატიების/პუბლიკაციების გამოქვეყნება საქართველოს

ან საერთაშორისო რეფერირებად რეცენზირებად ჟურნალებში, ასევე აფილირებული პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში და ფორუმებში, თუმცა ეს არ გულისხმობს უნივერსიტეტის მხრიდან გაცხადებულ ვალდებულებას დაფინანსებაზე. ამავდროულად, უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს გამოიყენოს წახალისების ერთი ან რამდენიმე ფორმა (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია და სხვ.) აფილირებული პირის მიმართ, მის მიერ მომზადებული სტუდენტის სხვადასხვა სახის კონფერენციებში მონაწილეობისა და გამარჯვების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ აფილირებულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა, რომ მათ ბოლომდე არ აქვთ გაცნობიერებული რა არის აფილირების მიზანი და მოსალოდნელი შედეგები. მაგალითად, აფილირებული პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, აფილირება ნიშნავს ბტუ-ს სახელით საჯარო გამოსვლებს, სარეკლამო კლიპებში მონაწილეობას, უარის თქმას სხვა უნივერსიტეტების რეკლამირებაზე და სხვ. ამდენად, ინტერვიუების პროცესმა წარმოაჩინა, რომ აფილირებულ პერსონალს სრულად არ აქვს გაცნობიერებული ბტუ-ს სახელით სამეცნიერო-კვლევების წარმოების მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა, რაც უარყოფითად აისახება დაწესებულების სამეცნიერო-კვლევით პროფილსა და ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სფეროს განვითარებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების კვალობაზე, უნივერსიტეტში გაიზარდა დასაქმებული პირების რაოდენობა. კერძოდ, ბტუ-მ ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა მიმდინარე წელს 14-დან 34-მდე გაზარდა. ბტუ-ში დასაქმებულია 111 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 1 პროფესორი, 103 ასოცირებული პროფესორი და 7 ასისტენტ-პროფესორი (ექსპერტთა წინა ვიზიტის დროს ბტუ-ს ერიცხებოდა 102 ასოცირებული პროფესორი, პროფესორისა და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობები ასევე წინა ვიზიტის შემდეგ დაემატა). მოწვეული პერსონალის რაოდენობა 29-ს შეადგენს. აკადემიური პერსონალის 30% (33) აფილირებულია. აფილირებული პერსონალი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობის 22%-ს შეადგენს. პერსონალს შორის დაცულია გენდერული ბალანსი. აკადემიური პერსონალის საშუალო ასაკი უმეტეს შემთხვევაში 30-40 წლებს შორის მერყეობს, ხოლო მოწვეული ლექტორების საშუალო ასაკი უფრო ახალგაზრდაა, რაც სწორი სტრატეგიისა და ეფექტიანი მარვის პირობებში კარგი წინაპირობაა ბტუ-ს სწრაფი და დინამიური განვითარებისთვის.

ბტუ-მ ახალი პრაქტიკა დანერგა სტუდენტების სტაჟირების სახით, რომლითაც მიმდინარე ეტაპზე წარმატებით სარგებლობს 22 სტუდენტი.

ბტუ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც სტრუქტურული ერთეულის ფუნქციური დატვირთვის საფუძველზე ფორმულით გამოითვლება სტრუქტურულ ერთეულში საჭირო პერსონალის რაოდენობა. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა იყო თუ არა აღნიშნული მეთოდოლოგია გამოყენებული კონტინგენტის გაზრდის ჭრილში. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მეთოდოლოგია ახლად შემუშავებული დოკუმენტია და, ამდენად, არ მომხდარა მისი გამოყენება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ისიც, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი არ იცნობს აღნიშნულ დოკუმენტს (რაც უკვე აღინიშნა წარმოდგენილ დასკვნაში დაწესებულების

ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვასთან დაკავშირებით. იხ. რეკომენდაცია ავტორიზაციის მეორე სტანდარტისთვის).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა უნდა მოახდინოს თავისი საქმიანობის მარეგულირებელი ამ და სხვა დოკუმენტების (მათ შორის აფილირების წესის) შესახებ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დროული და შედეგიანი ინფორმირება, უნდა მოხდეს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.

ბტუ-ს ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობების თანაფარდობის სამიზნე ნიშნულად 2019 წელს განსაზღვრულია 25/1-თან, ხოლო შემდეგ, ორ-ორი წლის ინტერვალთ 20/1 და 15/1-თან. კითხვაზე თუ როგორ აპირებს ბტუ სამიზნე ნიშნულების მიღწევას და პერსონალის მოზიდვის რა სტრატეგია გააჩნია, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი (პერსონალის მართვის სამსახურის უფროსი დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა, ხოლო პერსონალის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ იგი არ იყო ჩართული სამიზნე ნიშნულების შემუშავებაში).

პერსონალის კონტინგენტის საკმარისობის შესწავლა და აუცილებელი რაოდენობების დადგენა სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს 2019-2024 წლებისთვის. თუმცა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში (4250), წლიური საპროგნოზო მიღებების მიხედვით რა რაოდენობის ადამიანური რესურსი (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული) იქნება საჭირო, შესაბამისი გამოთვლები უნივერსიტეტში არ არის ჩატარებული, რაც სამომავლოდ აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

უნივერსიტეტს ჩატარებული აქვს პერსონალის კმაყოფილების კვლევა, თუმცა გამოკითხულია მხოლოდ აკადემიური პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს თავად აღნიშნა, რომ პერსონალის გამოკითხვის მექანიზმი საჭიროებს დახვეწას და უნივერსიტეტი მუშაობს ამ მიმართულებით. მომავალში სასურველია შეფასდეს, რამდენად გამოიყენა უნივერსიტეტმა პერსონალის გამოკითხვის შედეგები საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტრუქტურული ერთეულების დებულებებში გაწერილია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორების მხოლოდ 45% ფლობს დოქტორის ხარისხს, რაც სავსებით მისაღებია ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით სწავლებისთვის, მაგრამ არასაკმარისია უნივერსიტეტის სტრატეგიაში წარმოდგენილი მასშტაბური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის. მიუხედავად ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობისა, უნივერსიტეტის ამბიციური გეგმები სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განვითარების მიმართულებით, საჭიროებს დოქტორის ხარისხის მქონე და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ახალი ცოდნის შექმნაში მონაწილე მეტი პროფესორის ჩართულობას, რაც აღნიშნული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა წინა დასკვნაშიც.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შრომითი ხელშეკრულებების ფორმები ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები მორგებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემას (იხ. 4.2).

ავტორიზაციის ექსპერტთა წინა დასკვნაში ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა აფილირებული და აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას მხოლოდ სალექციო საათების მიხედვით. ეს საკითხი კვლავ აქტუალურია და რჩება ბტუ-ს გასაუმჯობესებელ მხარედ, ვინაიდან მიმდინარე ეტაპზეც აფილირებული პერსონალის ანაზღაურება მხოლოდ სალექციო საათებს უკავშირდება, რაც ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტში ამჟამად მიმდინარეობს, ძირითადად, სასწავლო პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ, ბტუ-ს აქვს უნივერსიტეტის სტატუსი. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანაზღაურება, ან რაიმე სხვა ფორმით მისი წახალისება, ჯერჯერობით არ მომხდარა, რაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს აკადემიური, მათ შორის აფილირებული პერსონალის წარმომადგენლებმა. გარდა ამისა, აკადემიური, მათ შორის აფილირებული პერსონალის წარმომადგენლების პირადი საქმეების შეფასების პროცესში წარმოჩნდა სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციების მცირე რაოდენობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბტუ-ს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ამ ეტაპზე არ შეესაბამება სტრატეგიაში დასახულ შესაბამის მიზნებს.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის სხვადასხვა პროექტებში და ტრენინგებში ჩართულობას, მათ შორის მათი პროფესიული განვითარების კუთხით, თუმცა აღნიშნული ჯერჯერობით უფრო ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიაში SWOT ანალიზის შედეგად ერთ-ერთ სუსტ მხარედ გამოვლენილია პერსონალისთვის კომპეტენციების სრულყოფაზე მიმართული ტრენინგების ნაკლებობა, რაც საჭიროებს უნივერსიტეტის მხრიდან ხელშემწყობი მექანიზმების ეფექტიან იმპლემენტაციას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წარმოდგენილ საპროგნოზო ბიუჯეტში, თანამშრომელთა გადამზადებისათვის 2018-2019 სასწავლო წლის შემდეგ, აღარ არის გათვალისწინებული ხარჯი.

4.2 ბტუ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემები. აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა სრულ განაკვეთზე შეადგენს მაქსიმუმ 1792 სთ-ს და მინიმუმ 900 სთ-ს. ნაწილობრივ განაკვეთზე დატვირთვის საათები განისაზღვრება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეთმობა წლიური დატვირთვის ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრულიდან მინიმუმ 250-450 სთ, პედაგოგიურ საქმიანობას - წლიური საერთო დატვირთვის არაუმეტეს 25%-ისა. აკადემიური პერსონალის დატვირთვის აღრიცხვის მიზნით შემუშავებულია ინდივიდუალური დატვირთვის ფორმები.

აკადემიური პერსონალის ყოველწლიური დატვირთვის სქემას და შესრულების ანგარიშებს ყოველწლიურად განიხილავს ფაკულტეტის დეკანი. დატვირთვის სქემის შევსების ვალდებულება აქვს ბტუ-ს მოწვეულ ლექტორებსაც.

დატვირთვის წესი და შესაბამისი ფორმები ახალი შემუშავებული აქვს უნივერსიტეტს, რაც ამ ეტაპზე არ იძლევა მისი ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას.

ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვისთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინება: სხვადასხვა პოზიციებზე ახალი თანამშრომლების აყვანამ შეამცირა იმ პერსონალის დატვირთვა, რომლებსაც შეთავსებული ჰქონდათ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქციები.

წინა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და დაზუსტებული რეკომენდაციები

ბტუ-ს მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტთან (უსდ-ს პერსონალი) დაკავშირებული შემდეგი რეკომენდაცია:

აფილირებულ აკადემიურ პერსონალთა ხელშეკრულებები შესაბამისობაში მოვიდეს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და გაიწეროს აკადემიური პერსონალის მოვალეობები უნივერსიტეტის სასწავლო, კვლევით, მართვის და სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევის პროცესებში;

ნაწილობრივ/არასაკმარისად იქნა გათვალისწინებული შემდეგი სამი რეკომენდაცია:

1. უნივერსიტეტმა ცალსახად განსაზღვროს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად და უზრუნველყოს აფილირების წესით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება აფილირებულ აკადემიური პერსონალის მიერ;
2. უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამოქმედო გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სამეცნიერო კვლევითი მიმართულებების და სხვა საჭიროებებს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში.
3. უნივერსიტეტმა რეგულარულად განახორციელოს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევა და მოახდინოს შედეგების გათვალისწინება;

დაზუსტებული რეკომენდაციები:

გაუმჯობესდეს აფილირებული პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მოხდეს პერსონალის აფილირების უზრუნველყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსებით;

პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული) საჭირო რაოდენობების განსაზღვრა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების საპროგნოზო მაჩვენებლების ჭრილში;

რჩევები შემდგომი განვითარებისთვის:

1. უნივერსიტეტმა უნდა მოახდინოს თავისი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების (მათ შორის აფილირების წესის) შესახებ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დროული და შედეგიანი ინფორმირება, უნდა მოხდეს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება;
2. მოხდეს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობი მექანიზმის ეფექტიანი იმპლემენტაცია შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით;
3. მომავალში სასურველია დადგინდეს პერსონალის გამოკითხვის შედეგების გამოყენების ეფექტიანობა.

დადასტურება/მტკიცებულება:

- განვითარების სტრატეგია 2019-2025;
- განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პერსონალის მართვის სტრატეგია;
- პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- აკადემიური კონკურსის დებულება;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- აკადემიური პერსონალის აფილირებისა და დატვირთვის დებულება;
- აფილირების შეთანხმება;
- პერსონალის შერჩევის წესი;
- აკადემიური საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი;
- ატესტაციის ჩატარების წესი;
- პერსონალის დატვირთვის სქემები;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები:

5.1. უსდ-ის დოკუმენტში „სტუდენტების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა“ ნათლად არის ასახული სტუდენტების უფლება-მოვალეობები, მათი ვალდებულებები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელშეწყობის პროცედურები. ინტერვიუს პროცესში სტუდენტების მხრიდან გამოვლინდა ცოდნა მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ სტუდენტებს შეუძლიათ როგორც ელექტრონული ფორმით, ასევე პირადადაც მიმართონ ადმინისტრაციას სასწავლო პროცესთან

დაკავშირებულ საკითხებზე. ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა განაცხადეს, რომ შეფასების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ისინი იყენებენ ელექტრონულ ბაზას, „BTU Classroom“-ს, ან პირადად მიდიან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში.

სტუდენტებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა მათი მოსაზრებების გათვალისწინების პოზიტიური ტენდენცია. აღმოჩნდა, რომ 2017-2018 სასწავლო წელს ბაკალავრიატის სტუდენტების უმრავლესობამ უკმაყოფილება გამოთქვა მათემატიკის ლექტორთან, კერძოდ, მის გადმოცემისა და ახსნის უნართან მიმართებაში. უნივერსიტეტის მხრიდან მიღებულ იქნა შესაბამისი ზომები და აღნიშნული ლექტორი ჩანაცვლდა ახალი მოწვეული კადრით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ბტუ-ში ხდება სტუდენტთა გამოკითხვა და აგრეთვე მათი აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, თუმცა ჯერჯერობით, დროის მცირე მონაკვეთში ვერ დგინდება რამდენად ახდენს უნივერსიტეტი რეაგირებას გამოკითხვის და აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგებზე (დოკუმენტიდან „2017-2018 სასწავლო წლის სტუდენტთა ნიშნების ანალიზი“ ჩანს, რომ ბაკალავრიატში ჯამში სტუდენტთა 27% იჭრება, ხოლო მაგისტრატურაზე სტუდენტთა 49%-ის მოსწრების დონე უტოლდება C დონეს). მომავალში სასურველია დადგინდეს სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების გამოყენების ეფექტიანობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა ჩართულობა სტრატეგიისა და მისიის შემუშავების პროცესში ძალიან პასიური იყო. მხოლოდ რამდენიმე სტუდენტს ბუნდოვნად ახსოვდა, რომ მათ ელფოსტით მიეწოდათ ინფორმაცია მისიისა და სტრატეგიის შესახებ, თუმცა მათ რეაგირება არ მოუხდენიათ. სტრატეგიის შემუშავების პროცესში სტუდენტების ჩართულობის ზრდა უკვე განისაზღვრა ერთ-ერთ რეკომენდაციად (იხ. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა პირველ სტანდარტზე).

5.2. ინტერვიუების პროცესმა ცხადყო, რომ სტუდენტები მუდმივად, ელექტრონული თუ ზეპირი სახით იღებენ კონსულტაციებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, მიუხედავად 2017-2018 სასწავლო წელს მათემატიკის საგანში ბაკალავრიატის სტუდენტთა ჩაჭრის მაღალი მაჩვენებლისა (I სემესტრში 25%, ხოლო II სემესტრში 15%), ამ საგნის სილაბუსში ცალკე არ არის გამოყოფილი საკონსულტაციო საათები. მაგისტრატურის სტუდენტთა პროგრამაში, საკონსულტაციო დრო გაწერილია, თუმცა ემთხვევა სამუშაო დღეებსა და საათებს, რაც ეჭვქვეშ აყენებს საკონსულტაციო საათების გამოყენების რეალურობას დასაქმებული მაგისტრანტების მიერ (მაგალითად, საგანში „ვებ დეველოპმენტი ბიზნესისთვის“, საკონსულტაციო საათებია: ორშაბათი-ოთხშაბათი 15:00-17:00). ზოგიერთი საგნის სილაბუსში (მაგალითად, კვლევის მეთოდები, ფინანსური აღრიცხვა), არ არის გათვალისწინებული საკონსულტაციო/დამატებითი საათები. ინტერვიუებზე დადასტურდა, რომ დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები ტარდება ლექტორთან პირადად შეთანხმების საფუძველზე, თუმცა თუ არ მოხდა სტუდენტთა კონსულტაციების პროცესისდმი უფრო სისტემური მიდგომა, გართულდება სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის მომსახურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციის კვალობაზე, გაძლიერდა სტუდენტების კარიერული დაგეგმვის ცენტრი. სტუდენტები რეგულარულად იღებენ

ვაკანსიებს „BTU Classroom“-ისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. 2018 წლის 9 ოქტომბერს ჩატარდა დასაქმების ფორუმი სახელად „Smart Student“, სადაც სტუდენტები შეხვდნენ სხვადასხვა წარმატებული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ინტერვიუს პროცესში კარიერული მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება კვლევა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება დასაქმებულ სტუდენტთა მოცულობა. აღნიშნული დოკუმენტი ვიზიტის დროს მოწოდებულ იქნა უნივერსიტეტის მხრიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა და დანერგა სასტიპენდიო მხარდაჭერის პროგრამაც. წარჩინებული სტუდენტებისთვის გამოყოფილია ყოველთვიური სტიპენდია 150 ლარის ოდენობით. აღნიშნული სტიპენდია გაიცემა ბაკალავრიატის 30 სტუდენტზე დამაგისტრატურის 5 სტუდენტზე 8 თვის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს დოკუმენტში „სოციალური დახმარების გაწევის წესი“, მე-2 პუნქტში ნათლად არის გაწერილი სოციალური დახმარების სხვადასხვა სახეები, სადაც სწავლის საფასურის რამდენიმე ეტაპად გადანაწილებასთან ერთად სხვა სახის დახმარებებიც არის ჩამოთვლილი, თუმცა იქვეა მითითება, რომ სოციალურად მოწყვლადი ფენის წარმომადგენელი რამდენიმე დახმარებით ერთდროულად ვერ ისარგებლეს. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტმა შექმნა სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის მექანიზმი, თუმცა სასურველია, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები მას უკეთ იცნობდნენ. ინტერვიუს პროცესში სტუდენტთა შეღავათის მხოლოდ ერთი ტიპი - სწავლის საფასურის რამდენიმე ნაწილად გადახდა დასახელდა.

წინა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და დაზუსტებული რეკომენდაციები

ბტუ-ს მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტთან (უსდ-ს სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები) დაკავშირებული ორი რეკომენდაცია:

1. გაძლიერებულ იქნას სტუდენტთა კარიერული დაგეგმვის ცენტრი;
2. გაიწეროს სტუდენტთა უფლებების დაცვის პროცედურა, საჩივრის წარდგენის, გასაჩივრების მექანიზმები;

ნაწილობრივ/არასაკმარისად იქნა გათვალისწინებული შემდეგი ორი რეკომენდაცია:

1. ღიად იყოს გაცხადებული ის წამახალისებელი ღონისძიებები თუ სამოტივაციო სქემები, რომელსაც უნივერსიტეტი გეგმავს მომავალში სტუდენტებისათვის სტიპენდიებისა თუ სხვა აქტივობებში ჩასართავად;
2. გაიწეროს რეგულარული საკონსულტაციო საათების ბადე სტუდენტებისათვის.

დაზუსტებული რეკომენდაციები:

1. მოხდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის საკონსულტაციო საათების გამოყოფა უფრო სისტემურად, მათი საქმიანობის გრაფიკის გათვალისწინებით;
2. სტუდენტებს მიეწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედი სოციალური დახმარების გაწევის შესახებ.

რჩევა შემდგომი განვითარებისთვის:

მომავალში სასურველია დადგინდეს სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების გამოყენების ეფექტიანობა.

დადასტურება/მტკიცებულება:

- დოკუმენტი „სტუდენტების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა“;
- დოკუმენტი „2017-2018 სასწავლო წლის სტუდენტთა ნიშნების ანალიზი“;
- უსდ-ს კარიერული განვითარების ცენტრის მოხენებითი ბარათი - დასაქმება;
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგნების სილაბუსები;
- უსდ-ს ვებ-გვერდი;
- სოციალური დახმარების გაწევის წესი;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუები.

6. კვლევა, განვითარება და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

ბტუ-ში ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის კვალობაზე შექმნილია აფილირების მექანიზმი, თუმცა ჯერჯერობით ის ვერ უზრუნველყოფს პროფესორთა არათუ აქტიურ, არამედ სამეცნიერო კვლევებში უზრალო ჩართულობასაც კი. აფილირებული პერსონალის დიდ ნაწილს საერთოდ არ აქვს გააზრებული, რომ უნივერსიტეტთან აფილირების ერთ-ერთი საკვანძო საკითხი სწორედ უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო კვლევების წარმოებაა. როგორც უკვე აღინიშნა, ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილისთვის აფილირება ნიშნავს უნივერსიტეტის სახელით საჯარო გამოსვლებს, უნივერსიტეტის სარეკლამო რგოლებში მონაწილეობას, მხოლოდ ბტუ-ს რეკლამირებას და სხვ. აღნიშნული ცხადყოფს ბტუ-ში დღეისათვის არსებულ ვითარებას - უნივერსიტეტი აქტიური და ძალიან ეფექტიანია მარკეტინგული თვალსაზრისით, რაც სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვასაც წარმატებით უზრუნველყოფს, თუმცა უნივერსიტეტში ამ ეტაპზე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა აფილირებული აკადემიური პერსონალის შემთხვევაშიც კი არ დგას დღის წესრიგში. უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა სტრატეგიული ხედვა და მოახდინა პრიორიტეტული კვლევითი სფეროების იდენტიფიკაცია და ის მიმართულებები, რომლებითაც სურს კვლევების წარმოება,

თუმცა ჯერჯერობით უნივერსიტეტმა ვერ შეძლო შესაბამისი ადამიანური რესურსის მოზიდვა, რომელიც უზრუნველყოფს ამბიციური სამეცნიერო-კვლევითი იდეების განხორციელებას.

მისასაღებელი და ცალსახად ძალიან პოზიტიურია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის მართვის სისტემის მოდერნიზაციის პროცესში გათვალისწინებულ იქნა სამეცნიერო კვლევების განვითარება და შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული, თუმცა მას ჯერჯერობით გავლენა არ მოუხდენია არსებულ ვითარებაზე. ინტერვიუების დროს ვერ მოხერხდა იმ კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/პროექტის იდენტიფიცირება, რომელზეც ამჟამად აკადემიური პერსონალი მუშაობს. აკადემიურმა პერსონალმა ვერც იმ სამეცნიერო პერიოდული გამოცემების დასახელება შეძლო, რომელსაც ამჟამად სამეცნიერო კვლევებში იყენებს. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ბტუ თავისი განვითარების დღევანდელ ეტაპზე არასაკმარისად არის ჩართული ახალი ცოდნის შექმნის პროცესში, თუმცა მას მომზადებული და წარდგენილი აქვს ცალკეული პერსპექტიული საპროექტო განაცხადება.

სასურველია, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უკეთ იყოს ინფორმირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები/პროგრამები იძლევა. მაგალითად, ბტუ-ს განვითარების სტრატეგიაში (2019-2025) ევროკავშირის პროგრამა FP7 მოხსენიებულია როგორც დაფინანსების მოქმედი სქემა. „განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება იმ საერთაშორისო კვლევებში ჩართვაზე, რომელიც ფინანსდება წამყვანი ევროპული კვლევითი ინფრასტრუქტურის შემადგენელი ინსტიტუტებისგან. ყურადღება გამახვილდება დაფინანსების ისეთ სქემებზე, როგორიცაა European Research Council (ERC), Horizon 2020, FP7, Erasmus + Capacity Building projects" (ბტუ-ს განვითარების სტრატეგია, გვ. 69). გარდა ამისა, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულმა პერსონალმა სამომავლოდ სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მოძიების ერთ-ერთ საშუალებად ასევე FP7 დაასახელა, მაშინ როცა ევროკავშირის აღნიშნული პროგრამა 2007-2013 წლებში ფუნქციონირებდა და დღეისათვის მას დაფინანსების მოძიების წყაროდ ვერ მოვიზარებთ (იხ.: https://ec.europa.eu/research/fp7/index_en.cfm).

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების კვალობაზე, უნივერსიტეტმა შეიმუშავა „სამეცნიერო ნაშრომების და კვლევითი პროექტების დაფინანსების და პროექტების დაფინანსების და კონკურსების ჩატარების წესი“, თუმცა როგორც ინტერვიუების დროს გამოჩნდა, აკადემიური და მათ შორის აფილირებული პერსონალი არ იცნობს აღნიშნულ მექანიზმს და, შესაბამისად, ჯერჯერობით არ ხდება მისი იმპლემენტაცია.

წინა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და დაზუსტებული რეკომენდაციები

ბტუ-ს მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული ავტორიზაციის მექანზმ სტანდარტთან (კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი განვითარება) დაკავშირებული ორი რეკომენდაცია:

უნივერსიტეტმა განსაზღვროს კვლევების დაფინანსების საჯარო და გამჭვირვალე პროცედურები როგორც პროფესორ მასწავლებლებისა ასევე სტუდენტებისათვის;

უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტრატეგია, თუ რა ტიპის ცვლილებები იქნება საჭირო კვლევითი მიმართულებით სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში. საუბარია როგორც სამეცნიერო ინტერესების, ასევე ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დატვირთვის ხარისხზე;

არ შესრულებულა კვლავ ძალაშია შემდეგი რეკომენდაცია:

უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროფესორთა აქტიური ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში, აფილირების შემთხვევაში განსაკუთრებით;

დაზუსტებული რეკომენდაცია:

უნივერსიტეტმა მოახდინოს აკადემიური პერსონალის ეფექტიანი ინფორმირება სამეცნიერო კვლევების დაფინანსების არსებული მექანიზმების შესახებ;

დადასტურება/მტკიცებულება:

- აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები;
- უნივერსიტეტის სტრატეგია;
- „სამეცნიერო ნაშრომების და კვლევითი პროექტების დაფინანსების და პროექტების დაფინანსების და კონკურსების ჩატარების წესი“;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუები.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1. მატერიალური რესურსი. ბტუ-ს მფლობელობაში არსებული, მატერიალური რესურსი, მოძრავი და უძრავი ქონება ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების უზრუნველყოფას. უსდ-ს აქვს ფართები /აუდიტორიები, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი.

დაწესებულებაში არსებობს დამატებითი, დაუტვირთავი აუდიტორიები, რომლებიც ადმინისტრაციის განმარტებით, საკმარისი იქნება კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში საწავლო პროცესის სტაბილურად განსახორციელებლად. უსდ-ს ასევე აქვს სხვა სავალდებულო ფართები (ფოიე, სივრცე ჯგუფური მუშაობისათვის, სანკვანძები, ბიბლიოთეკა და სხვ.) სასწავლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტური უზრუნველყოფისათვის.

ბტუ-ს აქვს ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და შენობა-ნაგებობის გეგმა. წარმოდგენილ, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დასაბუთების რაოდენობრივი

მაჩვენებლების ცხრილში, მითითებულია როგორც დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა (3116.9 კვ.მ.), ასევე საერთო დამხმარე ფართის ოდენობა (7952.8 კვ.მ.) 2018 წლის მდგომარეობით.

ბტუ-ს შენობაში არსებულ სანიტარულ კვანძებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. ადმინისტრაციის განმარტებით, არსებული სანკვანძების რაოდენობა საკმარისია კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში. ფართი აღჭურვილია გათბობის ცენტრალური სისტემით და მთელ პერიმეტრზე არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

დაწესებულებაში არსებობს პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი (ჰყავთ ექიმი), რომელიც აღჭურვილია სათანადო სამედიცინო ინვენტარით. შენობას გააჩნია დამატებითი საევაკუაციო გასასვლელი. კორიდორებში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და ცეცხლჩაქრობი ბალონები.

უნივერსიტეტში არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. ამჟამად, ბტუ-ში სწავლობს ერთი შშმ სტუდენტი (ვიზიტის დროს მოხდა მისი იდენტიფიცირება ლიფტით გადაადგილების პროცესში).

როგორც სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, მათ მიაჩნიათ, რომ ის მატერიალური რესურსი, რომელიც გააჩნია ბტუ-ს, უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი პროცესების შეუფერხებელ, ეფექტიან და ეფექტურ წარმართვას.

7.2. საბიბლიოთეკო რესურსი. უსდ-ს ადმინისტრაცია ზრუნავს ბიბლიოთეკის განვითარებაზე. ძირითადად აღმოფხვრილია ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის დასკვნაში აღნიშნული ხარვეზები. კერძოდ: ბიბლიოთეკარი ასრულებდა პერსონალის მართვისა და კანცელარიის უფროსის ფუნქციებსაც. ამჟამად, ბიბლიოთეკაში სამუშაოდ აყვანილია შესაბამისი კომპეტენციის ბიბლიოთეკარი და ერთი სტუდენტი, ნახევარ განაკვეთზე, რომელიც თავდაპირველად, ბიბლიოთეკაში სამუშაოდ შეირჩა ბტუ-ში არსებული შიდა სტაჟირების კონკურსის ფარგლებში. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით (20 ცალი); სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის გათვალისწინებით, გაიზარდა ბეჭდური წიგნების რაოდენობა 500 ცალით. შეძენილია EBSCO-ს მონაცემთა ბაზებზე (ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით) წვდომის უფლება, რომელშიც ჯერ-ჯერობით დარეგისტრირებულია მხოლოდ ორი სტუდენტი.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის მუხლში „ბიბლიოთეკის ხარჯი“ გათვალისწინებული თანხა 2018-2019 სასწავლო წელს, 2017-2018 სასწავლო წელთან შედარებით გაზრდილია 47000 ლარით (დაახლოებით 260%-ით) და შეადგენს 65000 ლარს. მისასალმებელია, რომ წარმოდგენილ საპროგნოზო ბიუჯეტში, მომავალი სასწავლო წლისთვის და ყოველ მომდევნო წელს, დაგეგმილია ზემოაღნიშნული მუხლში ხარჯის 20%-ანი ზრდა, წინა წელთან შედარებით.

ბიბლიოთეკის პერსონალი მაქსიმალურად უწყობს ხელს საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურ გამოყენებას. ეწევიან კონსულტაციებს სტუდენტებისა და პერსონალისათვის ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან და სერვისებთან დაკავშირებით. სილაბუსებში

მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში. თითოეული მათგანი აქვთ დაახლოებით 10 (ათი) ეგზემპლარის ოდენობით. ბიბლიოთეკარის განმარტებით, აღნიშნული რაოდენობა საკმარისია არსებული კონტიგენტის პირობებში და კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში განხორციელდება საჭირო რაოდენობის სასწავლო ლიტერატურის შეძენა.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა BTU CLASROOM, საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მოითხოვონ მათთვის საჭირო წიგნი ელექტრონულად. აქვე, ყველა სტუდენტს ეგზავნება ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ინსტრუქციები. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ეფექტური უკუკავშირის მიღებას, რაც დაადასტურა ინტერვიუებმა ბიბლიოთეკართან და სტუდენტებთან.

როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ისინი უფრო მეტად იყენებენ საბიბლიოთეკო სივრცეს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის, ვიდრე საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობისათვის. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ აკადემიური პერსონალი კვლავ ნაკლებად სარგებლობს საბიბლიოთეკო რესურსით.

7.3. საინფორმაციო რესურსი. ბტუ-ში კომპიუტერული კლასების რაოდენობა გაიზარდა ერთით და ამჟამად სასწავლო პროცესს ემსახურება 3 (სამი) ასეთი აუდიტორია. სულ სასწავლო პროცესისთვის შესყიდულია 200 ერთეულამდე კომპიუტერული ტექნიკა. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ გააჩნიათ მატერიალური რესურსი კიდევ ერთი კომპიუტერული კლასის გასახსნელად, მაგრამ ამ ეტაპზე ამის საჭიროებას ვერ ხედავენ. ასევე, მათ მიერ წარმოდგენილ კონტიგენტის გაზრდის დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ გათვალისწინებული აქვთ დამატებით, ეტაპობრივად კიდევ 200 ერთეული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის კვალობაზე, აღმოფხვრილია საშიშროება იმისა, რომ შესაძლოა, სტუდენტებს მიეღოთ მცდარი ინფორმაცია ე.წ. საერთაშორისო პროგრამებთან დაკავშირებით. ამჟამად ვებგვერდზე განთავსებულია დაზუსტებული ინფორმაცია ოქსფორდ-ბრუკის და სტრეტფორდშირის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და მათ მიერ შეთავაზებული სწავლების შესახებ.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა BTU CLASROOM, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მართვის ეფექტურობას, სტუდენტების სწრაფ კომუნიკაციას როგორც აკადემიურ პერსონალთან, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რაც ცხადყო ინტერვიუებმა დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული ელექტრონული სისტემის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევაში, BTU CLASROOM-ის უწყვეტ, გამართულ მუშაობას საფრთხე არ ემუქრება.

უსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი www.btu.edu.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. იგი მუშაობს გამართულად და მასზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ვებგვერდზე ზუსტად არის მითითებული ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მომსახურე პირები და მათი ელექტრონული ფოსტის მისამართები, თუმცა კვლავ არ არის სრულყოფილი ინფორმაცია აკადემიური პერსონალის პროფილის შესახებ (არასაკმარისად არის წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის გამოცდილება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კუთხით). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით, არარელევანტურია ადმინისტრაციის წარმომადგენლების არგუმენტი, რომ აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ შედარებით დეტალური ინფორმაციის/მათი პროფილის განთავსება ვერ ხერხდება მათი მხრიდან წინააღმდეგობის გამო. ავტორიზაციის სტანდარტი - წამყვანი დასავლური უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით - ავალდებულებს უნივერსიტეტს, რომ მან საჯაროდ, ღიად და გამჭვირვალედ განთავსოს ინფორმაცია თავისი ადამიანური რესურსის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ.

ასევე არ არის გათვალისწინებული და კვლავ ძალაში რჩება ექსპერტთა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ საგნის „ციფრული ტექნოლოგიები“ სწავლების პროცესი მიმდინარეობდეს კომპიუტერულ კლასში. საგნის პროფესორს კვლავ მიაჩნია, რომ ამის საჭიროება არ არსებობს, თუმცა, სტუდენტებს ფინალურ გამოცდაზე მოეთხოვებათ ვებგვერდის შექმნა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კომპიუტერული კლასების გამოყენების ზოგადი გეგმა, მაგრამ არ იქნა წარმოდგენილი დეტალური ანალიზი, კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში კომპიუტერული კლასების დატვირთვის თაობაზე. მით უფრო, რომ ბიზნესის მიმართულების სტუდენტებს შეუძლიათ დამატებით/minor პროგრამად საინფორმაციო ტექნოლოგიების არჩევა.

7.4. ფინანსური რესურსი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მიმდინარე სასწავლო წლის და საპროგნოზო ბიუჯეტის საფუძველზე ჩანს, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსური რესურსების გამოყოფა, ეკონომიკურად მიღწევადია. საპროგნოზო ბიუჯეტის ყველა მუხლში შეიმჩნევა ხარჯების ზრდის ტენდენცია.

ამჟამად უნივერსიტეტის შემოსავლები შედგება მხოლოდ სტუდენტების საგრანტო დაფინანსების და სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ანგარიშზე შეტანილი სწავლის გადასახადისგან. თუმცა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების მოძიებაზე, რომლებიც გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევაში იქნება აღებული ვალდებულებების შესრულების, უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების გარანტი.

დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტი 2018-2019 სასწავლო წლისათვის შეადგენს 4495 500.00 ლარს. ადმინისტრაციული ხარჯების წილი შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 14,8 %-ს, ხოლო აკადემიური პერსონალის ხელფასის წილი - 17.9%-ს.

ბიუჯეტში გაწერილია სტუდენტთა სტიპენდიების ხარჯი, რაც შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 0.93 %-ს (42000 ლარი). ამჟამად, შიდასაუნივერსიტეტო სტიპენდია აქვს 35 სტუდენტს.

უნივერსიტეტს ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს ხარჯები საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით. ძირითადი საშუალებების შესაძენად გამოყოფილია 200 000 ლარი. კვლევისა და პროგრამებისთვის გამოყოფილია 142 000 ლარი. ბიუჯეტის არც ამ და არც

სხვა მუხლში, არ არის გათვალისწინებული თანხები სტუდენტთა კვლევებში ჩართულობისთვის. ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ ამ მიზნისთვის არ არის საჭირო თანხების გამოყოფა, რაც ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ „სამეცნიერო ნაშრომების და კვლევითი პროექტების დაფინანსების და კონკურსების ჩატარების წესს“, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (ოქმი #19, 29.08.2018). დოკუმენტის ამოქმედების ვადად მითითებულია 2018 წლის 17 სექტემბერი. დოკუმენტის მეორე მუხლის თანახმად („ბტუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სუბიექტები“), კვლევებში მონაწილეობის უფლება აქვთ (სხვა სუბიექტებთან ერთად) „სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული კვლევითი ნაშრომის მომზადებაში და/ან სასწავლო გეგმის მიღმა თავისუფალ დროს განხორციელებულ საქმიანობაში ჩართულ ბტუ-ს სტუდენტებს (გარდა სტუდენტებისა, რომელთა მიმართ ბტუ-ში გამოცემულია სტატუსის შეწყვეტის ბრძანება)“. იქვე (მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი), მითითებულია, რომ „დაინტერესებულ პირს შეუძლია როგორც ბტუ-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობით, ისე კონკურსის გამოცხადების გარეშე დამოუკიდებლად სამეცნიერო-კვლევითი პროექტის წარდგენა, რა დროსაც მან უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე წესით“. ამავე დოკუმენტში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია საკუთარი და მოზიდული სახსრები. და ბოლოს, აღნიშნული დოკუმენტის მე-4 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ ბტუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეიძლება იყოს ფორმალისგარეშე როგორც (ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სხვა ჩამონათვალთან ერთად): „ბტუ-ს სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტების სამეცნიერო ღონისძიებებში (სამეცნიერო კონფერენციებში, ვებინარებში, სემინარებში, სხვ.) მონაწილეობა („სამივლინებო და სხვა ხარჯები“; „სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფა. მათ შორის: სამეცნიერო წრეების, სემინარების, სამეცნიერო ოლიმპიადების და სხვ. ორგანიზება და ჩატარება“.

როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო რესურსის ზრდა, მისი ფუნქციონირებისა და მუდმივი განვითარებისთვის.

ბტუ-ს აქვს საფინანსო სამსახური. მასში დასაქმებულია მხოლოდ ერთი პირი, საფინანსო სამსახურის უფროსი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საფინანსო საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესს, ასევე ბუღალტრული ოპერაციების შესრულებას. კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება ერთი პერსონალის მიერ ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანად განხორციელება, რაც ექვექვემ აყენებს ადმინისტრაციული/დამხმარე რესურსის რელევანტურობას სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში.

უსდ-ში ჯერჯერობით არ არის განხორციელებული ფინანსური აუდიტი.

წინა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და დაზუსტებული რეკომენდაციები

მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით (მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები) ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გამოთქმული თერთმეტი რეკომენდაციიდან სრულად შესრულდა შემდეგი ექვსი რეკომენდაცია:

1. გაიზარდოს კომპიუტერული კლასების რაოდენობა, რათა სტუდენტებს მიეცეთ პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა;
2. ვებ-გვერდზე ზუსტად მიეთითოს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დაკავებული პირები და მათთან დაკავშირებისთვის საჭირო საკონტაქტო ნომრები და ელექტრონული ფოსტა;
3. მოხდეს „საერთაშორისოდ“ წოდებული საბაკალავრო პროგრამების აღწერა, რა ტიპის არააკრედიტირებულ სწავლებას სთავაზობს უნივერსიტეტი ოქსფორდ-ბრუკის და სტრეტფორდშირის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით;
4. გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტში ბიბლიოთეკის განვითარების ხარჯები კონტიგენტის ზრდის პროპორციულად;
5. დაკონკრეტდეს რა სახის მივლინებებს აფინანსებს უნივერსიტეტი და აღნიშნულიდან გამომდინარე გაიწეროს მივლინების ხარჯები ბიუჯეტში.
6. ყველა ზემოთ მოყვანილი ცვლილების შესაბამისად დაიგეგმოს ახალი ბიუჯეტი სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის გათვალისწინებით.

ნაწილობრივ შესრულდა შემდეგი რეკომენდაცია:

განისაზღვროს უნივერსიტეტში კვლევითი კომპონენტის გაძლიერებისათვის რეალურად რა თანხებია საჭირო და ბიუჯეტი დაიგეგმოს აღნიშნულის გათვალისწინებით, ამასთან, განისაზღვროს თანაბარი მექანიზმები პროფესორებისა და სტუდენტებისათვის ამ დაფინანსების მისაღებად;

არ შესრულებულა და კვლავ ძალაშია შემდეგი ოთხი რეკომენდაცია:

1. თუკი გამოცდა მოითხოვს კონკრეტული საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც ისწავლება საგანში, მაშინ სტუდენტებს ლექციაზე ჰქონდეთ საშუალება, იმუშაონ ამ საინფორმაციო ტექნოლოგიით;
2. დეტალურად გაითვალისწინოს ძირითადი და დამატებითი პროგრამებისთვის საჭირო კომპიუტერული კლასები, განსაკუთრებით სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის გათვალისწინებით;

3. მეტი დეტალიზაციით აღიწეროს უნივერსიტეტთან აფილირებული ყველა პროფესორის პროფილი ვებ-გვერდზე.

რჩევა შემდგომი განვითარებისთვის:

ბიუჯეტის „კვლევის და პროგრამების ხარჯის“ მუხლში გაიწეროს ამ მიზნისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტებისათვის გასაწევი ხარჯები ცალ-ცალკე, რაც უზრუნველყოფს ბტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სამეცნიერო ნაშრომების და კვლევითი პროექტების დაფინანსების და კონკურსების ჩატარების წესის“, ჯეროვნად შესრულებას.

დადასტურება/მტკიცებულება:

- წარმოდგენილი 2018-2019 სასწავლო წლის ბიუჯეტი;
- წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ბტუ-ს ვებგვერდზე განთავსებული აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სამეცნიერო ნაშრომების და კვლევითი პროექტების დაფინანსების და კონკურსების ჩატარების წესი“;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:


ირინე დარჩია



ეკატერინე აზარაშვილი



ნინო ბერიშვილი



ციცინო თურქაძე



თინათინ პავლიაშვილი

